ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243242469**
თარიღი: **19/11/2024**

ადრესატი: ეკა კემულარია
პირადი ნომერი: 62005000668
მისამართი: ოჩამჩირე ფ.ენგელსის ქ. N 22

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-63 დადგენილებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში შესული ცვლილების თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიენიჭა ცალკეული საზოგრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ეკა კემულარიას მიერ წარმოდგენილ №01243171788-16 განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 28/10/2024წ. №16-01243023172 გადაწყვეტილებით უკვე გაცემულია დადებითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 94ბ, N94ა-ს (ს/კ: №01.17.13.037.024) მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებითი ღობის განთავსებასთან დაკავშირებით, აქტის გაცნობიდან (28.10.2024) 4 თვის ვადით (მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებით დროებითი ღობის განთავსების ვადა).

გაცნობებთ, რომ საკადასტრო საზღვრის გარეთ, დაურეგისტრირებელ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობის ნაწილის დემონტაჟის მიზნით საჭირო სამუშაოების წარმოების შეთანხმება სამართლებრივად სცდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებს.

ასევე, აღვნიშნავთ, რომ №01243171788-16 განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული საქმის განხილვაში ელექტრონულად ჩართული - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ დაფიქსირდა დადებითი პოზიცია განმცხადებლის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მოთხოვნის შესაბამისად გამოყენებასთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი მოთხოვნათა დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7)

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი